



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N30/5

შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანიის“ მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) 2021 წლის 29 ივნისის საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების თაობაზე.

“ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 103-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი შეიმუშავებს და კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ სათანადო ფორმით აქვეყნებს მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს; 104-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია ამტკიცებს მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე ზომის საწარმოებისთვის ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის უწყვეტი და საიმედო მიწოდების პირობებს.

კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ (შემდგომში - საცალო ბაზრის წესები) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს შეიმუშავებს მიმწოდებელი და კომისიის მიერ მისი დამტკიცების შემდგომ აქვეყნებს ვებგვერდზე; 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, ამ წესების მე-8 მუხლით გათვალისწინებული მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად, შეიმუშავებს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი და ამტკიცებს კომისია; 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, ამ წესების მე-8 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტული პირობების შესაბამისად, შეიმუშავებს ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი და ამტკიცებს კომისია; საცალო ბაზრის წესების 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურება განახორციელოს ამ წესების 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის, აგრეთვე, 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კომისიისათვის დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულება, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ანალოგიურად, ვრცელდება აგრეთვე ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებელზე.

„ელექტროენერჯის სექტორში გარდამავალი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ კომისიის 2020 წლის 12 ნოემბრის N58 დადგენილების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უნივერსალური მომსახურების მიწოდებელი და ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიწოდებელი ვალდებული არიან, არაუგვიანეს 2021 წლის 31 მაისისა კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინონ მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

„შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანიისა“ და სს „ეკ ჯორჯია მიწოდებისათვის“ ელექტროენერჯეტიკის სექტორში მიწოდების საჯარო მომსახურების სახით განხორციელების ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მაისის N236 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელ კომპანია“ განისაზღვრა ელექტროენერჯის სექტორში უნივერსალური მომსახურების მიწოდებლად, ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების სახით მიწოდებლად და ბოლო ალტერნატივის მიწოდებლად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განიხილა რა შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელმა კომპანიის“ მიერ კომისიისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი მიწოდების ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები, „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 103-ე და 104-ე მუხლების, კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ მე-8, 27-ე, 29-ე და 34-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-56-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანიის“:
 - ა) ელექტროენერჯის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის (დანართი N1);
 - ბ) ელექტროენერჯის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის - მცირე საწარმოსთვის (დანართი N2);
 - გ) ელექტროენერჯის საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (დანართი N3);
 - დ) ელექტროენერჯის ბოლო ალტერნატივის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (დანართი N4).
2. დაევალოს შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელ კომპანიას“ ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული მიწოდების ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა.
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე განთავსება.
5. გადაწყვეტილება საჩივრდება დაინტერესებული მხარეებისათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

6. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

